ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი

№1(93)

იანვარი 2022 წელი

გამოდის თვეში ერთხელ

4 დე ფაქტო ცხინვალის იზოლაციურ პოლიტიკას კიდევ ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

DRI — დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი
Democracy Research Institute

5 ახალგორის მუნიციპალიტეტში ვაქცინაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს

ოსტატი წეროვნიდან, რომელიც დევნილ ბავშვებს ხეზე კვეთას ასწავლის 8

წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ მაჭარაშვილი „საშობაო მინიატურების“ კონკურსის გამარჯვებულია 1 2

დადიანური ფოლკლორი 9

50 წლის ასაკის ზემოთ მოქალაქეებისთვის კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინით აცრაზე 200-ლარიანი წახალისება თებერვლის განმავლობაშიც გაგრძელდება 5

150 000 და ნაკლები ქულის მქონე მოსახლეობას ელექტროენერგიის ტარიფის ნაზარდი მთელი წლის მანძილზე დაუსუბსიდირდება 2

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზვიად ზვიადაძემ ერგნეთში შეხვედრაზე ახალგორის რაიონში შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისზე ისაუბრა 4

„მთავარი იყო წამი...“

„ახალგორის“ სტუმარია მარიამ ილურიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი 6

მადლობა ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულებს 9

დავით ახლოურის ახალი ნაშრომი: სოფელ ალევის ისტორიიდან 2

რუბრიკის დებიუტი: სოფელი ლონიერია... 7

სოფელ ალევის ისტორიიდან

24 დეკემბერს, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც ისტორიკოსმა დავით ახლოურმა წარადგინა ნაშრომი: „სოფელ ალევის ისტორიიდან“.

ალევი ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელია, მდებარეობს მდინარე ქსნის მარცხენა შენაკად ალეურას ქვემო წელზე. არქეოლოგიური მონაპოვარი ცხადყოფს, რომ იგი ერთ-ერთი უძველესი ქართული სოფელია, სადაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთან ერთად მიკვლეული იქნა შუა საუკუნეების 138 სამარხი ძვირფას ნივთებთან და უნიკალურ ნუმიზმატიკურ მასალასთან ერთად.

ალევი ცნობილია ასევე დიდებული სალოცავით - სამება ოქროსკარიანით, რომელსაც ფეოდალურ ხანაში თავისი ყმები ჰყავდა ქსნის ხეობის სხვადასხვა სოფელში. ნაშრომში ყურადღება ეთმობა სოფლის ისტორიულ წარსულს, სამების კომპლექსს, მის მამულებს, შეწირულობებს, ყმებს, ლეგენდარულ და რეალურ ამბებს, 2008 წლის ივნისში, ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპაციამდე მცირე ხნით ადრე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიციის ინიციატივით სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს, რომლის დროსაც მიაკვლიეს სამეუფეო ოქროს კარის გადარჩენილ ნაშთებს, რომელიც ტაძარს, სავარაუდოდ, თვით დავით აღმაშენებელმა შესწირა...

სოფელი ალევი ყველა დროში, ყველა ეპოქაში მნიშვნელოვან როლს ასრულდება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და ქართველ მეფეთა თვალსაწიერშიც ხშირად ექცეოდა. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ სწორედ აქ შეჩერებულა 1724 წელს რუსეთისაკენ მიმავალი ვახტანგ VI...

1844 წლის 15 აგვისტოს ალევის მთაზე სამებობის დღესასწაულზე იმყოფებოდა ცნობილი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომლის და ეკატერინე ქსნის ერისთავთა შთამომავალს რევაზ ერისთავს ჰყავდა ცოლად. ტატომ ქსნის ხეობელებთან ერთად მოილოცა სამების სალოცავი: „მე და მამა ალევობას... ვეწვივენით კატოს. მანანა (ორბელიანი - დ.ა) და ელენეც გარდმოვიდნენ სალოცავად. საუცხოვო ჯვაროობა იყო. ახალგორითგან თორმეტი ვერსტია, მაღალს მთაზედ." - წერდა პოეტი ბიძას ზაქარია ორბელიანს.

ნაშრომში ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა XVII საუკუნის წილკნელის სარგოსა და XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერათა მონაცემებს, ასევე პირველი რუსული კამერალური აღწერას, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ვრცლადაა საუბარი ალევის დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ ყოფაზე, სასულიერო პირებზე...

ძველი ისტორიული ფაქტების კვალდაკვალ ნაჩვენებია სოფლის წარსული კომუნისტური მმართველობის პერიოდში და დღევანდელი ვითარება. საუბარია იმ მძიმე შედეგებზე, რაც ახალგორის მხარის ოკუპაციას მოჰყვა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2007 წელს, ღვთის კაცთა მონდომებითა და ძალისხმევით ალევის სამების კომპლექსის ტერიტორიაზე სასულიერო ცხოვრება განახლდა და ამჯერად იქ მამათა მონასტერი ფუნქციონირებს...

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279

150 000 და ნაკლები ქულის მქონე მოსახლეობას ელექტროენერგიის ტარიფის ნაზარდი მთელი წლის მანძილზე დაუსუბსიდირდება

ჩვენი გადაწყვეტილებით, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, დაახლოებით მილიონ ადამიანს, დავუსუბსიდირებთ ელექტროენერგიის ტარიფის ნაზარდს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს შეეხება მიზნობრივ ჯგუფებს, 150 000 და ნაკლები ქულის მქონე მოსახლეობას, რაც დაახლოებით 1 მილიონ ადამიანს შეადგენს.

„მოგეხსენებათ,აღნიშნული პროგრამა გვქონდა პანდემიის დაწყების დღიდან, გრძელდებოდა 2 წელი, ახლა იანვარში შეწყდა ეს სუბსიდირების პროგრამა და ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული პროგრამა გავაგრძელოთ და მოსახლეობის იმ ფენას, ვინც ყველაზე მეტად გაჭირვებულია, ამ მიზნობრივ ჯგუფებს, დავუსუბსიდიროთ ელექტროენერგიის ნაზარდი. ეს ამოქმედდება იანვრიდან მთელი წლის განმავლობაში“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

თეა ახვლედიანმა ეუთო-ს ახლად დანიშნულ სპეციალურ წარმომადგენელთან ე.წ. ბორდერიზაციასა და საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავების ფაქტებზე ისაუბრა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა სამხრეთ კავკასიაში ეუთო-ს ახალდანიშნულ სპეციალურ წარმომადგენელთან ვიორელ მოშანუსთან შეხვედრა გამართა. აღნიშნულ ინფორმაციას სახელმწიფო მინისტრის აპარატი ავრცელებს.

თეა ახვლედიანმა ხაზი გაუსვა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ეუთო-ს როლისა და აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეობის გზით.

სახელმწიფო მინისტრმა მიმოიხილა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული მძიმე ვითარება.

„განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა უკანონო დაკავების ფაქტებზე და ხაზგასმით აღინიშნა საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის ეუთო-ს მხრიდან ძალისხმევის გაგრძელების აუცილებლობა ცხინვალის რეგიონში უკანონოდ დაკავებული საქართველოს ექვსი მოქალაქეების უპირობო და დაუყოვნებელი გათავისუფლების უზრუნველსაყოფად. ამასთან, სახელმწიფო მინისტრმა ხაზი გაუსვა ერთობლივი მუშაობის გააქტიურების მნიშვნელობას ცხინვალის რეგიონის, განსაკუთრებით ახალგორის რაიონის ხელოვნური იზოლაციის შედეგად შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისის დასაძლევად, რაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების ფონზე. მამასთან, განხილულ იქნა ერგნეთის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მიმდინარეობა.

შეხვედრაზე თეა ახვლედიანმა უცხოელ დიპლომატს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში არსებული პრიორიტეტების, მიღწეული შედეგებისა და სამომავლო ხედვების თაობაზე, რაც კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, ასევე ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებებს შორის დიალოგის, ნდობის აღდგენის და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრობლობის გაღრმავებას ისახავს მიზნად.

აღნიშნულ კონტექსტში, ყურადღება გამახვილდა 2010 წლის ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიისა და თანმდევი სამოქმედო გეგმის სტრატეგიული გადახედვის პროცესზე, რომელიც ფართო საზოგადოებრივი მონაწილეობით, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით მიმდინარეობს.

თავის მხრივ, ეუთო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა საქართველოს მთავრობის ძალისხმევა და სამშვიდობო პროცესში ქართულ მხარეს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. მხარეები შემდგომ მჭიდრო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

„ეუთოს ახლად დანიშნულ სპეციალურ წარმომადგენელთან პირველი გაცნობითი შეხვედრა განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო. დიდია ეუთოს როლი საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეობის და ერგნეთის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში. ჩვენ დეტალურად განვიხილეთ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებასა და ცხინვალის რეგიონში არსებულ მძიმე ვითარებასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართე სპექტრი. მათ შორის, რა თქმა უნდა, ვიმსჯელეთ ახალგორის რაიონში შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისზე და იქ მცხოვრები მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და უფლებრივ მდგომარეობაზე. განსაკუთრებული აქცენტი, ბუნებრივია, გაკეთდა ცხინვალის რეგიონის მიმართულებით მიმდინარე უკანონო ე.წ. ბორდერიზაციასა და საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებების ფაქტებზე. ჩვენ განვიხილეთ, დეტალურად, მათი მდგომარეობა და ვიმსჯელეთ ერთობლივი ძალისხმევით ჩვენი 6 მოქალაქის უმოკლეს ვადაში გათავისუფლების თაობაზე“, - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზვიად ზვიადაძემ ერგნეთში შეხვედრაზე ახალგორის რაიონში შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისზე ისაუბრა

– ერგნეთში შეხვედრაზე განსახილველი ერთ-ერთი უმთავრესი თემა იყო ჰუმანიტარული კრიზისი, რომელიც შექმნილია ოკუპირებულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ახალგორის რაიონში, - ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატში გამართული მორიგი შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

ზვიად ზვიადაძის ინფორმაციით, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადაადგილებაზე არსებული უკანონო შეზღუდვების მოხსნაზე ახალი ინფორმაცია ვერ მიიღეს.

,,უკანონოდ დაკავებული მოქალაქეების საკითხის შემდეგ, ერთ-ერთი უმთავრესი თემა იყო ის ჰუმანიტარული კრიზისი, რომელიც შექმნილია ახლა ოკუპირე-

დასასრული მე-4 გვერდზე

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზვიად ზვიადაძემ ერგნეთში შეხვედრაზე ახალგორის რაიონში შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისზე ისაუბრა

მე-3 გვერდიდან

ბულ ტერიტორიაზე და განსაკუთრებით ახალგორის რაიონში, სადაც მოსახლეობა განიცდის უკიდურეს სოციალურ სიდუხჭირეს და ელემენტარულად, მათ წვდომა არ აქვთ ხარისხიან სამედიცინო სერვისებზე. ასევე განხილული იქნა მდგომარეობა კოვიდპანდემიასთან დაკავშირებით და როგორც საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები აცხადებენ, სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება, ისინი შესაბამის დახმარებას იღებენ რუსეთის ფედერაციიდან და ფიქრობენ, რომ პრობლემას გადაჭრიან თავიანთი ძალებით. ამის მიუხედავად, ჩვენგან კიდევ ერთხელ იქნა შეთავაზება დაფიქსირებული, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში გამართულ ყველა შეხვედრაზე თუ ,,ცხელი ხაზის“ მეშვეობითაც კეთდება, თუმცა, კონკრეტულ დახმარებაზე ამჯერადაც უარი მივიღეთ.

ადამიანები ვერ ახერხებენ ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას, წლებია უკვე, ბოლო ორი წლის მანძილზე განსაკუთრებით, გარდაცვალების რამდენიმე ათეული შემთხვევა იყო დაფიქსირებული. სამწუხაროდ, გადაადგილებაზე არსებული უკანონო შეზღუდვების მოხსნაზე ახალი ინ-

ფორმაცია ვერ მივიღეთ, ისინი კვლავ აცხადებენ, რომ გადასასვლელების ჩაკეტვა უკავშირდება ჩორჩანაში არსებულ საგუშაგოს, თუმცა, ბუნებრივია, თავადაც ხვდებიან, რომ ამ ორ საკითხს ერთმანეთთან არანაირი ლოგიკური და რეალური ბმა არ აქვს. მომავალშიც მაქსიმალური ძალისხმევით გავაგრძელებთ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად ამ მიმართულებით მუშაობას, რომ ამ ადამიანებს მიეცეთ თავისუფლად გადაადგილების საშუალება“, - განაცხადა ზვიად ზვიადაძემ.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI): დე ფაქტო ცხინვალის იზოლაციურ პოლიტიკას კიდევ ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI) ინფორმაციით, ახალგორის მაცხოვრებლებს ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე ხელი არ მიუწვდებათ, რაც არაერთი პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების მიზეზი გახდა. მხოლოდ იანვარში, დე ფაქტო ცხინვალის იზოლაციურ პოლიტიკას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

გასული წლის დეკემბერში ახალგორის რაიონული საავადმყოფო ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა შეამოწმეს. შემოწმების შედეგად, სავარაუდოდ, კორუფციული სქემა გამოიკვეთა, რის გამოც საავადმყოფოს მთავარი ექიმი ჯემალ ბედოევი დაკავებული პოზიციიდან გაათავისუფლეს და დროებით მთავარ ექიმად მონიკა ჯიოევა დანიშნეს. ჯიოევა, რომელიც თანამდებობაზე ცხინვალიდან გადმოიყვანეს, მოსახლეობასა და სამედიცინო საზოგადოებაში დადებითად ხასიათდებოდა, თუმცა მისი დანიშვნის შემდეგ, პაციენტების თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანა უფრო გართულდა. მთავარი ექიმის ბრძანებით, პაციენტები სამკურნალოდ მხოლოდ ცხინვალში გადაჰყავთ, მიუხედავად იმისა, რომ ახალგორი-ცხინვალის დამაკავშირებელი გზა, რთული რელიეფის გამო, პაციენტებისთვის განსაკუთრებით რთულია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, ახალგორში მაცხოვრებელ რამდენიმე პაციენტს მდგომარეობა კრიტიკულად დაუმძიმდა, რაც ორ შემთხვევაში ფატალური შედეგით დამთავრდა.

იანვრის დასაწყისში, 70-წლამდე ასაკის მამაკაცი, ინფარქტის დიაგნოზით შეიყვანეს ახალგორის საა-

ვადმყოფოში. ნათესავების სურვილის მიუხედავად, - მამაკაცი თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე გაეშვათ, მონიკა ჯიოევას კატეგორიული უარის გამო, ცხინვალში გადაიყვანეს. მამაკაცი გზაში გარდაიცვალა.

იანვარში, ახალგორელი ქალი, მისი მოთხოვნის მიუხედავად, თბილისში არ გამოუშვეს და ცხინვალში გადაიყვანეს. ცხინვალში ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, პაციენტის მდგომარეობა დამძიმდა. ქალი თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე მხოლოდ მდგომარეობის გართულების შემდეგ გადმოიყვანეს. დღემდე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტი მკურნალობას თბილისში აგრძელებს.

12 იანვარს, ახალგორელი მამაკაცი ცხინვალში მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც მძიმე მდგომარეობაში მყოფს, საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა თბილისში გადმოყვანის უფლება არ მისცა.

50 წლის ასაკის ზემოთ კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინით აცრაზე 200-ლარიანი წახალისება თებერვლის განმავლობაშიც გაგრძელდება

50 წლის ასაკის ზემოთ კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინით აცრაზე 200-ლარიანი წახალისება თებერვლის განმავლობაშიც გაგრძელდება, ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირები ე.წ ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში 100 ლარს მიიღებენ, – აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 24 იანვარს გამართულ სხდომაზე მიიღეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

საბჭოს სხდომაზე განიხილეს ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება. აღინიშნა, რომ ინფიცირების მზარდი მაჩვენებლების მიუხედავად, ჰოსპიტალური სექტორის დატვირთვის მაჩვენებელი არ იზრდება, რაც „ომიკრონის“ შტამის საკმაოდ სუსტ მიმდინარეობაზე მიუთითებს. თუმცა, სპეციალისტების შეფასებით, საფრთხე მაინც მაღალია, განსაკუთრებით მაღალ ასაკობრივ ჯგუფებსა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებში, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვაქცინაციას და ორჯერადად ვაქცინირებული პირების ე.წ ბუსტერ დოზით აცრას.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, ატარონ პირბადე, დაიცვან სოციალური დისტანცია და თავი აარიდონ ხალხმრავალ შეკრებებს, ხოლო ვირუსის სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, დარჩნენ სახლში. ამასთან, იზრდება ონლაინ-კლინიკების რესურსები, რათა მსუბუქმა პაციენტებმა, რომლებიც ბინაზე მკურნალობენ, ოჯახის ექიმების კონსულტაცია შეუფერხებლად მიიღონ.

ახალგორის მუნიციპალიტეტში ვაქცინაციის პროცესი აქტიურად გრძელდება

ახალგორის მუნიციპალიტეტში ვაქცინაციის პროცესი აქტიურად გრძელდება. დასახლებაში მასობრივი იმუნიზაციის 2 ამბულატორია ფუნქციონირებს, სადაც მოქალაქეებს აცრა ჩინური წარმოების ვაქცინებით შეუძლიათ, ხოლო ფაიზერით ვაქცინაცია მცხეთის მასობრივი იმუნიზაციის ცენტრში, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე შეიძლება.

კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინის მესამე დოზით უკვე აიცრნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი, მოადგილე გელა შერმადინი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ოთარ გათენაშვილი. მათ მოსახლეობას ვაქცინაციის პროცესში აქტიური ჩართულობისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდეს და აღნიშნეს, რომ იმუნიზაცია მნიშვნელოვანია ჩვენი ჯანმრთელობისა და ქვეყნის განვითარებისთვის.

„როგორც ცნობილია, მსოფლიოში მძვინვარებს კოვიდ-19-ის ახალი შტამი “ომიკრონი”, რომელიც განსაკუთრებით სწრაფად ვრცელდება. სპეციალისტების რეკომენდაციაა კვლავ პირბადის ტარება და ვაქცინაცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორჯერადად აცრილთათვის მე-3 ე.წ. ბუსტერდოზით აცრა, რაც მყარი იმუნიტეტის შექმნის გარანტიაა. ამოქმედებულია საქართველოს მთავრობის წამახალისებელი პროგრამა 50 წელს ზემოთ პირებზე პირველადი აცრის შემდგომ 200-ლარიანი, ხოლო ბუსტერდოზით აცრის შემდგომ 100- ლარიანი ერთჯერადი დახმარების შესახებ.

კიდევ ერთხელ მოგინოდებთ, გაითვალისწინეთ სპეციალისტების რეკომენდაციები, ჩაიტარეთ აცრა, გადაარჩინეთ საკუთარი თავი, ოჯახის წევრები, ახლობლები და საზოგადოების ნაწილი, ვისთან ერთადაც გვიწევს ცხოვრება, მუშაობა და ურთიერთობა.” – განაცხადა ნუგზარ თინიკაშვილმა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, ახალგორის მაცხოვრებლებისთვის თავისუფლად გადაადგილების აკრძალვა, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს არღვევს, რაზეც პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას და ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმს ეკისრებათ. თუმცა აღნიშნული არ ათავისუფლებს საქართველოს ხელისუფლებას მასზე დაკისრებული ვალდებულებისგან - იზრუნოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელ საკუთარ მოქალაქეებზე.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გამოიყენოს ყველა ფორმატი და შესაძლებლობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უფლებების დასაცავად.

წეროვნის დევნილთა დასახლებაში ვაქცინაციის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ვაქცინაციის კამპანია გრძელდება. იმუნიზაციის პროცესის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრებს სისტემატურად მართავენ. ამჯერად, შეხვედრა წეროვნის დევნილთა დასახლებაში შედგა, სადაც შეკრებილ საზოგადოებასთან საუბარი აცრის მნიშვნელობასა და კორონავირუსის ვაქცინაციის წახალისების 200 ლარიან პროგრამას შეეხებოდა.

მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძემ, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილმა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა, რეგიონის კოორდინატორმა ბადრი კუკულაძემ, ვაქცინაციასთან დაკავშირებით, მოსახლეობას დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს და მათ შეკითხვებს უპასუხეს.

მარიამ ილურიძე: დიდი ალბათობით, სკოლაში ვიმუშავებ...

მარიამ ილურიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტია. მიზანდასახულმა და შრომისმოყვარე გოგონამ წეროვნის მესამე საჯარო სკოლა დაამთავრა.
სულ პატარა წამოიყვანეს ახალგორიდან... სოფელი ბოლი და მშობლიური სახლიც ახსოვს და ბედნიერი ბავშვობაც იქაურობასთან ასოცირდება...

– სკოლის დამთავრებამდე გადავწყვიტე, რომ ფილოლოგიურზე ვისწავლიდი... ოცნება ამიხდა და ბედნიერი ვარ...

– ყველა ილურიძე მღერის, ღმერთმა თითქმის ყველას არაჩვეულებრივად ლამაზი ხმა უბოძა და განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემები. შენ არ გიფიქრია მუსიკალური განათლება მიგეღო?

– სამწუხაროდ, მე ვერ ვაგრძელებ გვარის ტრადიციას...

– როდის გაგიჩნდა სურვილი მომავლის პროფესიად ფილოლოგობა აგერჩია?.. რაიმე კონკრეტულმა ამბავმა ხომ არ გიბიძგა, თუ ძალიან გიყვარს ლიტერატურა... ან ხომ არ წერ?..

– სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას მასწავლიდა ელენე პავლიაშვილი, ნაწილობრივ მისი დამსახურებაცაა...

– რა საქმეს გინდა აკეთებდე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ?..

– დიდი ალბათობით, სკოლაში ვიმუშავებ... წერაც მიყვარს ზოგადად, მაგრამ ჯერ ისეთი არაფერი დამიწერია, გამოვამზეურო...

– მოგწონს მასწავლებლის პროფესია?.. შენი აზრით, რა აკლიათ დღეს ბავშვებს?..

– ბავშვებს სურვილი და ინტერესი აკლიათ... მასწავლებლები იმდენ შეცდომას უშვებენ და ჩემ ირგვლივაც დაუშვიათ, ალბათ მაგ შეცდომებმა უფრო გადამაწყვეტინა

– სკოლაში უსამართლობის გამო გიტირია?

– მე არა, სხვას კი..

– პროტესტი?

– იყო რაღაცა ამის მსგავსი, მაგრამ უფრო დაეძებათ მდგომარეობა, არც ეს პროტესტი აპატიეს... თუმცა, ვერ გააჩუმეს...

– შენი საყვარელი ქართველი მწერალი...

– ოთარ ჭილაძე.

– ენაზე მომდგარი ლექსი...

– „რაც უფრო შორს ხარ - მით უფრო ვტკბები!
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი,
ხელუხლებელი - როგორც მზის სხივი,
მიუწვდომელი - როგორც ედემი.
და თუ არა ხარ ის, ვისაც ვფიქრობ,
მე დღეს არ ვნაღვლობ, დაე, ვცდებოდე!
ავადმყოფ გულს სურს, რომ მას ოცნების
თეთრ ანგელოზად ევლინებოდე.

დაიწვას გული უცნაურ ტრფობით,
ცრემლით აივსოს ზღვა-საწყაული -
ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა
და სიყვარულის დღესასწაული.

– შეყვარებული ხარ? გალაკტიონის ლექსი რომ მოგადგა ენაზე, იმიტომ გკითხე...

– არაა..

– რისიმე გეშინია?

– საშინელი შიში მქონდა ახალი რაღაცების მიღების დროს. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა სტუდენტი

ლები – მარიამი და ქეთევანი

მთავარი იყო წამი...

<u>მარიამ ილურიძე</u>

გზაზე გადავირბინე მწვანე, აციმციმებული შუქნიშნისთვის რომ მიმესწრო. ქუჩის მაღაზიაში შევირბინე და ნახევარ ლიტრიანი პეპსი ვიყიდე. გარეთ ცხელოდა, პეპსი კი საკმარისად ცივი არ იყო.

მეტრომდე ფეხით ჩავედი. მარცხენა კიბის ჩასასვლელში ახალგაზრდები იდგნენ. გიტარაზე უკრავდნენ და ქანთრის მღეროდნენ. ჯიბეში ორმოცდაათი თეთრი მეგდო, გამახსენდა, ხელით ავაჩხრიალე. გონებაში უცებ გადავთვალე საფულეში ჩაყრილი ხურდები თუ მეყოფოდა სახლამდე მისასვლელად. ამოვიღე ორმოცდაათი თეთრი და ძირს დაგდებული გიტარის ჩასადებისკენ წავედი.

უცებ გვერდიდან გადმოხტა გამხდარი, მრგვალსათვალიანი ბიჭი და შავი ქუდი გამომიწოდა. ღიმილიანი სახე ჰქონდა, ყავისფერი გრძელი თმა მხრებზე დაჰყროდა. ერთადერთი რამ გავიფიქრე: მუსიკა რომელიც მესმოდა, ამ ბიჭის გარეგნობასთან ძალიან ახლოს იყო.

გავხდი. მანამდე ჩემთვის, მყუდროდ ვიჯექი ხოლმე კლასში, ყველამ იცოდა, ვინ ვიყავი. მეც ვიცოდი, ვინ იყვნენ ჩემი თანაკლასელები და ერთგვარი უთქმელი შეთანხმებები მქონდა დადებული სკოლაში. მაგრამ უცებ მოვხვდი გარემოში, სადაც არც არავის ბიძაშვილი ვიყავი, არც შვილი და არც მეზობელი. უნივერსიტეტში მივედი მხოლოდ მე და მხოლოდ ამ ჩემი „გრაციოზულობით“ უნდა გამეკვირვებინა ხალხი, მოვახერხე თუ არა, ეგ სხვა საკითხია.

მივედი და მივხვდი, რომ რომ ახალი ამბავი დაიწყო, ამან ისე შემაშინა, რომ დავიწყე ადმინისტრაციის ხარვეზებზე წუწუნი, ბუნჩულა ლექტორებზე წუწუნი, რომლებსაც ალბათ მთელი ცხოვრება აქვთ გადატანილი ჩემნაირ ცარიელთვალებიანებთან. მოკლედ, მშიშარა ვარ, მეშინია იმ ახალი ამბების, რაც სულ უნდა ხდებოდეს ადამიანის და მით უმეტეს ახალგაზრდის ცხოვრებაში.

– საყვარელი ფოტო თუ გაქვს...

– კი, ჩემი ბავშვობის ფოტო მიყვარს ძალიან...



ჩემი მეტად გონიერების გამო, როგორღაც მივხვდი რომ ხურდები იმ ქუდში უნდა ჩამეყარა, თუ ამას მართლა ვაპირებდი. ახლოს მივედი და ქუდში მონეტებმა გაიწკრიალეს. არ გამიგია რა მითხრა, მაგრამ ისეთი ბავშვური, მადლიერი სახით ამომხედა სიცილი ვერ შევიკავე. მკვეთრი მოძრაობა გააკეთა, წელში მოიხარა და თვითონაც გაიცინა.

დარწმუნებული ვარ ეს რამდენიმე თეთრი არაფერს ნიშნავდა მისთვის, ეს უფრო დაფასებას ჰგავდა. თითქოს მუსიკა დაუფასეს და ბედნიერი იყო.

კონტროლიორს რომ მივუახლოვდი, შევამჩნიე ყურებამდე გაღიმებული მოვდიოდი. გიჟი არ ვეგონო-მეთქი და მეტრომანი უკვე „დაჭერილი“ სახით მივადე ეკრანს.

მატარებელი სანამ მოვიდოდა წიგნი ამოვიღე რამდენიმე ფურცელი გადავიკითხე, მაგრამ აზრი არ გამიგია. ისევ ის ვერგაგებული სიტყვები მესმოდა, სითბოს ინტონაციით. ბიჭის სახე აღარ მახსოვდა, მაგრამ შეგრძნება აქამდე გამომყოლოდა. სახე არც იყო მნიშვნელოვანი.

მთავარი იყო წამი და მთავარი იყო ღიმილი.

რუბრიკის დებიუტი:
სოფელი ღონიერია...

ბრძენს უთქვამს: სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერიაო... მართლაც ასეა, რასაც, მეცამეტე წელია, ქსნის ხეობიდან ფრეზეთში იძულებით დასახლებული დევნილების მაგალითიც მოწმობს.

გაშლილ ველ-მინდორზე, სადაც კაცის ჭაჭანება არ იყო, ომგამოვლილებმა ნულიდან დაიწყეს ცხოვრება... დარგეს ხე, ყვავილ-ბუჩქი, მოიშენეს ცხოველები, საოჯახო მეურნეობა გამართეს, მტერი არ გააცინეს...

სევდასა და მშობლიური კარ-მიდამოს სიყვარულთან და ტკივილ-სინანულთან ერთად მეზობელ-მოკეთესთან ტკბილი, მთის კაცისათვის დამახასიათებელი ალალი და წრფელი გადაძახილით გაამხნევეს ერთმანეთი. ერთ დიდ ოჯახად იქცნენ და ერთმანეთის აქაური ლხინ-ვარამის გამზიარებლები გახდნენ.

ფრეზეთელები ხშირად აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდა კაცი ლერი ბალაშვილი, რომელივ მათი სოფლის რწმუნებულია, ფრეზეთის მოსახლეობისათვის ძალიან ყურადღებიანია და მათი საქმეების მუდმივად მოგვარების პროცესს არ იზარებს...

ფრეზეთში და საერთოდ ახალგორის რაიონში ყველასათვის ცნობილმა ქალბატონმა ლილი ბალხამიშვილმა, რომელმაც მთელი ცხოვრება მომავალი თაობის აღზრდას მოანდომა და დღეს დამსახურებულ პენსიაზეა, რედაქციაში ფრეზეთის მოსახლეობის სახელით მადლიერების წერილი გამოგვიგზავნა სწორედ ლერი ბალაშვილზე: „ეს ახალგაზრდა კაცი ჩვენი სოფლის ყველა მცხოვრებისათვის ახლობელია, რადგან ძალიან თავაზიანი, კომუნიკაბელური, ადამიანების მოყვარე და მათზე მზრუნველია. ასეთი ახალგაზრდები ამშვენებენ სოფელსაც და ქვეყანასაც...“

ქალბატონი ლილი კიდევ ერთ ლამაზ – დიანა საბიაშვილის და ზაქრო ოსიშვილის ოჯახზე გვწერს:

„ზაქრო ოსიშვილი არის, პირველ რიგში, კარგი მეზობელი, სწორედ მისნაირებზეა ნათქვამი: „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო''. მას უბრალო პროფესია აქვს და თავადაც ძალიან თავმდაბალი და უბრალოა. ჩვენს დასახლებაში შაბათ-კვირას ყველას დახმარების ხელს უწვდის. წამალი ვინმეს უნდა და, ზაქროს უნდა სთხოვოს, უყიდოს აფთიაქში და მოუტანოს. ფქვილი გაუთავდება ვინმეს და ისევ ზაქროს მიმართავს. დაუზარელია, გულღია, უანგარო... ოჯახიც სამაგალითო აქვს. მეუღლე დიანა საბიაშვილი ჩვენს სკოლაში დაწყებით კლასებში ასწავლის და მოსწავლეების და მშობელთა საყვარელი მასწავლებელია. ორი თვალხატული გოგონა ჰყავთ – მარი და მედეა... მარი წარჩინებული მოსწავლეა, მედეა ჯერ პატარაა, ცელქი, მოუსვენარი...

კარგი, მტკიცე და ძლიერი ოჯახი სოფლის სახეა. ყველას უხარია მათთან შეხვედრა, მათი სიკეთე გადამდებია და თვალსაჩინო...''

ოსტატი წეროვნიდან, რომელიც დევნილ ბავშვებს ხეზე კვეთას ასწავლის

ინტერნეტპორტალზე Internewsgeorgas.com **დაიბეჭდა სტატია ახალგორელი ზაზა გათენაშვილის შესახებ, რომელმაც მამის დაწყებული საქმე გააგრძელა და ჩვენს ბავშვებს ხეზე კვეთას ასწავლის.**

ხესთან ურთიერთობა ბავშვობიდან დაიწყო... ახალგორში ცხოვრობდნენ, მამაც ცნობილი ოსტატი ყოფილა და ზაზა მის კვალს გაჰყვა. ახალგორის ოკუპაციის შემდეგ, როგორც სხვა ათასობით დევნილი, ისიც წეროვანში დასახლდა.

ზაზა გათენაშვილმა საოჯახო ტრადიციის გაგრძელება გადაწყვიტა და დევნილთა დასახლებაში ხის საამქრო გახსნა. აქ ის დევნილ ბავშვებს ხეზე კვეთას უსასყიდლოდ ასწავლის.

„2009 წელს თბილისიდან აქ წამოვედი და ძალიან დიდი სურვილი მქონდა, რომ გამეგრძელებინა ტრადიცია და აქ დამეარსებინა ის, რაც ახალგორიდან მოყვებოდა მამაჩემს. აქ ყველა ბავშვი დევნილია, აბსოლუტურად, ვინც ახლა დადის, ან ვინც გაიარა“, — ამბობს ზაზა გათენაშვილი.

2009 წლიდან დღემდე ოსტატმა 100-ზე მეტ დევნილ ბავშვს შეასწავლა ხელობა. ზოგიერთი მათგანი საქმეს განსაკუთრებით კარგად დაეუფლა და შემოსავლის წყაროდ აქცია. პანდემიის გამო სახელოსნო ორი წელი გაჩერებული იყო. ზაზა საქმიანობას ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა და გაკვეთილებიც განახლდა.

„ძალიან ბევრ რამეზე დავდიოდი წეროვანში, რა წრეც იხსნებოდა, ყველაფერში მინდოდა ბედის მეცადა. ვფიქრობ, ჩემი თავი სწორედ ამ სახელოსნოში ვიპოვე, ხეზე მუშაობაში. ვიღაცების აზრი იყო, რომ ეს არ არის გოგოს საქმიანობა, ამას ბიჭები უნდა აკეთებდნენ, მე ყოველთვის მიყვარდა ამ სტერეოტიპის დამსხვრევა, რომ რაღაცები არ შეუძლიათ გოგოებს. მე ვფიქრობ, რომ გოგოებს ყველაფერი შეგვიძლია“, — ამბობს მარიამ მელთაური.

გოგოებს რომ ყველაფერი შეუძლიათ, ეს მარიამ მელითაურმა იმითაც დაამტკიცა, რომ 2018 წელს საუკეთესო შეგირდის ჯილდო და ფულადი პრიზიც დაიმსახურა. თანხას მოსწავლეები გამოფენებზე გაყიდული ნივთებითაც გამოიმუშავებენ.

„ზაზა მასწავლებელს არასდროს ავიწყდებოდა, რომელი ყუთი, რომელი ბავშვის ნამუშევარი იყო და ყოველთვის გაყიდული თანხის რაღაც წილს გვიხდიდა. ბავშვობაში ჯიბის ფული იყო ეს ჩვენთვის და ძალიან დიდი სიხარული და მოტივაცია, რომ კიდევ და კიდევ შეგვექმნა ასეთი ნიმუშები“, — ამბობს მარიამ მელთაური.

„ზაზა მასწავლებლის სახელოსნოთი მაშინ დავინტერესდი, როდესაც 12 წლის ვიყავი. მოსვლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემმა მეგობრებმა მითხრეს, შეგვე-

დასასრული მე–12 გვერდზე

„ოფთალმიჯმა“ უფასო გამოკვლევები ჩაატარა

25 იანვარს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობით, თვალის მიკროქირურგიული ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯის" ექიმებმა წეროვნის დევნილ მოსახლეობას უფასო გამოკვლევები ჩაუტარეს.

აქციის მიზანი კატარაქტით დაავადებული პაციენტების გამოვლენა და შემდგომ, საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში, უახლესი ფაკოემულსიფიკაციის (უნაკერო) მეთოდით მათი ქირურგიული მკურნალობაა.

აქციის ფარგლებში გამოკვლევები ჩაუტარდა 30-ზე მეტ პაციენტს. გავესაუბრეთ რამდენიმე მათგანს. თამაზ საბანაძემ გვითხრა: – საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ თვალისჩინი ყველაზე აუცილებელი და ფაქიზი გასაფრთხილებელია... მაგრამ ადამიანი ასაკში რომ შედის, მაინც იჩენს სხვადასხვა დაავადება თავს... მე მადლიერი ვარ ჩვენი მუნიციპალიტეტის , ეს აქცია რომ წლების მანძილზე ტარდება. ადგილზე მოდიან „ოფთალმიჯის“ მართლა არაჩვეულებრივი სპეციალისტები, კონსულტაციაც და გამოკვლევებიც ადგილზე გვიტარდება, თანაც, მაღალ პროფესიონალურ დონეზე.

აქვე, ადგილზე, ძალიან ბევრ პაციენტს ჩაუტარდა მიკროოპერაცია კატარაქტზე. ეს არის უნაკერო ლაზერის სხივებით ჩატარებული ქირურგიული მკურნალობა, რაც აღადგენს დაქვეითებულ მხედველობას. ეს ყველაფერი მიმდინარეობს უსასყიდლოდ, რაც დღევანდელ დროში ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, პენსიონერებისათვის

მადლობა ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულებს

ადამიანისთვის რომ მთავარი და უმნიშვნელოვანესი ჯანმრთელობაა, ზოგჯერ ვერ ვხდებით, სანამ არასასიამოვნო ფაქტის წინაშე არ აღმოვჩნდებით ხოლმე. დიდხანს ვერ მოვახერხე ექიმთან მისვლა, მეგონა, რომ ის უბრალო ჩივილები, რაც მქონდა, გამივლიდა, მაგრამ როცა მივედი და საკმაოდ რთული დიაგნოზი დამისვეს, თითქოს შიშმა ამიტანა, მომავლის რწმენაც დავკარგე და გაურკვეველ მდგომარეობაში არმოვჩნდი. ამ დროს ჩემ გვერდით იყვნენ ადამიანები, რომელთა დახმარებითაც ყველაფერი გადავლახე. ჩვენი პოლიკლინიკის ექიმებმა ხათუნა მიდელაშვილმა და ნინო პაპუნაშვილმა დიდი სითბო, ყურადღება და პროფესიონალიზმი გამოიჩინეს...

ჩვენი პოლიკლინიკა შემთხვევით არ ვახსენე, – მართლაც ჩვენები, ახლობლები და ძალიან საყვარელი ექიმები გვყავს, რაშიც მაშინ დავრწმუნდი კიდევ ერთხელ, როცა ყველანაირად დამაკვალიანეს, გამამხნევეს, გვერდით დამიდგნენ, რის შემდეგაც ონკოლოგიურ საავდმყოფოში მომიწია საკმაოდ რთული ოპერაციის გაკეთება... ახლა ვხდები, რომ დრო ძლიან ძვირფასი იყო ჩემთვის და დაგვიანება ძალზე ცუდად დასრულდებოდა.

საავადმყოფოში წასვლისას ჩემმა ოჯახმა მიაკითხა ახალგორის მუნიციპალიტეტს, საიდანაც დაუყოვნებლივ მივიღე დახმარება დაფინანსებაში... თბილისის ონკოლოგიური ცენტრის თანამშრომლებს ედიშერ სიხარულიძეს, ედუარდ ზაქარეიშვილს, მიშა დიღმელაშვილსაც ვუხდი მადლობას, რომელთაც ოპერაცია გამიკეთეს. განსაკუთრებული მადლობა ექიმს გია ჩხეიძეს, რომელიც ჩვენი პოლიკლინიკის ოფთალმოლოგის ქეთინო რუსიშვილის მეუღლეა და ძალიან დიდი გულისხმიერება გამოიჩინა ჩემ მიმართ.

დღეს მე ოჯახს დავუბრუნდი, ჩემს შვილებს, ახლობლებს, რომლებმაც ჩემთან ერთად ინერვიულეს... რომ არა კეთილი ადამიანები, ,სიცოცხლეს ვერ შევინარჩუნებდი. მადლობის თქმა მეცოტავება თითქოს, მათ დიდ მადლთან, დახმარებისა და თანადგომისათვის.

ამ სტრიქონების წერისას გამახსენდა მოარული წინადადება: ღმერთი ყველაფერს ხედავსო... ყოველთვის ვილოცებ მათთვის, მადლიერება ხომ ყველაზე დიდი სათნოებაა სიკეთის კეთების დროს...

გულო ელოშვილი
წეროვნის დევნილთა დასახლება

ს ა ლ ა ღ ო ბ ო

გლობალიზაციის ეპოქამ და სოციალურმა ქსელმა ადამიანთა მოდგმის კომუნიკაბელურობის შემცირების ხარჯზე გაზარდა ინფორმაციაზე წვდომა. თითოეული მომხმარებელი უამრავ საინტერესო მასალას აქვეყნებს... დადიანელი ლამარა ბერიანიძე წერს:

„ჩემო დადიანლებო, წიგნში სათუთად შენახული ლექსი ვიპოვე. დათაანთ გაიოზის დაწერილი. გაულექსია ჩემი მიშა ძია, როცა ვირი დაეკარგა! ნახეთ, რამდენი ხალხი ჰყავს ნახსენები: ფოცხვერიანთ ვაჟა, ოდიაანთ ილო, პატატიანთ ვალიკო, ივანიანთ ვიქტორა, ჯავახიანთ გრიშა, ხუციშვილი (ვერ გავიხსენე ვინ არის...), მაჩხა, ბრეჟნევი და კოსიგინიც კი...

მიშას ვირი დაეკარგა

მიშამ ვირი დაკარგა ნალაღები ქატოზე,
რახან აჯილღაობდა, არ აბამდა პალოზე.
გაშვებული დაჰყავდა ყორუღში და ნაკრძალში,
ზღაპრული რაშიაო, ხმა დადიოდა ხალხში.
როცა კეხს დაადგამდა ვირი ყალყზე დგებოდა,
დეზს ჰკრავდა და ცეცხლივით ცაში ავარდებოდა.
საზაფხულო მთებისკენ რომ დავძარით ფარები,
ვიღაც ბოროტმა სულმა აუხვია თვალები.
სოფელ გვარდეიცაში ჭაკის სუნი აიღო,
თვალწინ ისე გაუქრა ვერაფერი გაიგო.
დაჯდა, ბევრი იფიქრა, მუშტი იცა კეფაში,
ჩემს ვირს მაინც ვიპოვნი, განვაცხადებ პრესაში.
ვაჟას გადააბრალა, შენ ჯდებოდი ხშირადა,
ნეტა რად მოგნათლევი ჩემი თავისჭირადა.
ბუსნა, შენს განათვლაში ფული გადავიხადე,
შენ კი პატივისცემა ასე გადამიხადე?
თუ იმ ვირს არ მომიყვან, გავბრაზდები დილაზე
გამოვთვრები არაყით, ჩემი მტრების ჯინაზე.
ერთი ამას უყურეთ, გამხადა ქურდი კინტო,
მიშავ შენ თუ დათვრები, ძირში არ მომაკვნიტო.
შერცხვა შენი მირონი, უსინდისო გრძნეულო,
დამეკარგე აქედან, ჩემის გადანგრეულო.
მიშავ მე ნუ მაბრალებ, ცილს ნუ მწამებ მაგაში,
თორემ ორსაც მოგადებ, მაგ გოთვერან ბაშკაში.
ნოკაუტს გაგიკეთებ, ვიხმარ ბოქსის ილეთსა,
მარილივით ჩაგიფშვნი მაგ მძივივით კბილებსა.
მაგას ვის ეუბნები ჩემის თვრამეტიანო,
ნათლიის მოღალატევ, კრეტინო, რეტიანო.
,,ჟიგულევსკი“ გამიხსენით, ჩამომისხით ასი გრამი,
მინდა რომ გულით ვიტირო, ჩემი კოხტა სახედარი.
ვინ იცის ახლა სად არის, აბავენ რომელ ურემში,
ვინ იცის რომელი ქისტი, ლაგამს უსწორებს ტუჩებში.
ჩემ ვირის ფულით ვაჟამა, ჯიბე რომ გაისქელაო,
მე რით მივიდე ბალღებთან, ვით ვუთხრა ჭენა-ჭენაო.
ოხ გამიშვით მე ამისი, ესა და ის ვატირე,
კაცის სისხლი მომწყურდა, მაგის დედა ვატირე.
საყელო დაუჭირა, და მოქაჩა ნათლია,
ახლა გაგაგებინებ, თუ როგორი ბალღი ვარ.
ვაჟა შეკრა ნიკლიამ და მიაბა ბრიჩკაზე,
ხომ გითხარი ძმობილო, ნუ დადიხარ სხვის ჭკვაზე.
მტერს მოხვდა შენი მუშტი, ეგ შენთან რას გახდება,
ეგ რომ მოკლა ქართველებს ენა დაგვეკარგება.
გაიწია ვაჟამა, ბრიჩკა სულ მთლად დალეწა,
მარტო მისი ხმის ექო, კავკასიონს აღწევდა.
როგორც იქნა დაწყნარდა, დაგვიამდა ნერვები,
ახლა მიშა აყვირდა, სულ დაგვიფრთხო ცხენები.
ვაჟას დაჭერა მიშველეთ, რომ ხანი აღარ ვაცალო,
ჩემი წასმული მირონი, სულ შკურკით გადავაცალო.
ოდიანთ ილო იძახდა, ზაპას ვირადა ვთვლიდიო,
დაგება შე კაი კაცო, პალოს მე გაგითლიდიო.
ვალიკო ეუბნებოდა, მომყიდე ბალღისთვინაო,
ციგაში ხოლმე შეაბას შეშა ზიდოს ვახშმისთვინაო.
ვიქტორამა თქვა ამ ზამთარს, ბაკრისი დავატორინე,
შენი ბრალია მიხეილ, რატომ არ დამაკოდინე.
თვითონ გრიშა დარდისაგან დადამბლავდა, აღარ ვარგა,
მაგისთანა კარგი ვირი, ზოდეხლებსაც არა ჰყავდა.
ხუციშვილი გულდამწვარი, ასე შესჩივის პასკასა,
რაც მიშამ ვირი დაკარგა, გემოს ვერ ვატან არაყსა.
მაჩხამ თქვა: ძველი მწყემსი ვარ, რაღა აღარა ხდებაო,
ეგეთი დიდი ზარალი, 100 წელში ერთხელ ხდებაო.
მოსკოვიდან იწერება ბრეჟნევი და კოსიგინი,
საქართველოს ცეკავ, ტეკავ, იპოვევით მიშას ვირი.
თვითონ მიშა დაიჭირეთ, ნუღარ დააგვიანებთ,
ყელზე დიდი ქვა მოაბით, თერგში გადისრიალეთ.

„უკვდავ სიმღერით ქსანზე დარჩები!..“
ალექსანდრე (ალიკა) ჯავახიშვილი

20 წელზე მეტია, ანსამბლი „ლომისი“ ატკბობს, ალხენს და აზიარებს უნიკალურ ქართულ ხალხურ და ფოლკლორულ პოლიფონიას მსმენელსა და მაყურებელს. ანსამბლი,'რომელიც დააფუძნა ნუგზარ ფსუტურმა და რამდენიმე წელია მას ნიჭიერი მუსიკოსი და შემოქმედი შალვა ილურიძე ხემძღვანელობს, ახალგორელებისათვის სავიზიტო ბარათად იქცა.

რაოდენ სამწუხაროა, რომ „ლომისელ“ ალექსანდრე ჯავახიშვილს, ნიჭიერ მუსიკოსსა და თავის საქმეზე შეყვარებულ კაცს ვემშვიდობებით სამუდამოდ... ის არ იყო ახალგორელი, მაგრამ ჭირსა და ლხინში ახალგორელებთან იყო. მათ გვერდით ემზადებოდა თითოეული კონცერტისათვის და ახალი სიმღერის მომზადების დროს მათთან ერთად ხარობდა. მშვიდობით! ლომისის მადლით, ისევ (მაგრამ უშენოდ) იგუგუნებს „ლომისი“ და ეს იქნება თქვენი სიმღერის, თქვენი სახელის უკვდავების ჰანგი... „ლომისის“ წევრობით გაგიცნოთ სრულიად საქართველომ, როგორც ქსნის ხეობელი ხელოვანი...

მშვიდობით... თქვენს ხმას, უკვე უკვდავებად ქცეულს, არასოდეს დაივიწყებენ თქვენი და ქართული უნიკალური ფოლკლორის მოყვარულნი.

მეგობრები

ძალიან შემოგვეჩვია სიკვდილი ამ ბოლო წლებში, უამრავი ადამიანი წაგვართვა. ერთია ნათქვამი, – ყველანი სიკვდილის შვილები ვართო და მეორეა, როდესაც ცამოწმენდილზე მეხის გავარდნასავით გაიგებ, რომ გარდაიცვალა ახალგაზრდა, ჯანმრთელი ადამიანი. ასე მოულოდნელი იყო ყველასათვის ალექსანდრე (ალიკა) ჯავახიშვილის გარდაცვალების ამბავი...

ალიკა სოფელ ოძისის მკვიდრი იყო. იგი 1966 წელს დაიბადა კარგ ქართულ ოჯახში. ჯერ კიდევ 6 წლის ყოფილა, როდესაც მამამისს პატარა გარმონი მიუტანია მისთვის, დაკვრა თავადვე უსწავლია. მისი მუსიკალური მონაცემები კარგად შეაფასა ახალგორის ფოლკლორული ანსამბლის ,,ლომისის" ხელმძღვანელმა სულგანათლებულმა ნუგზარ ფსუტურმა და 1987 წელს თავის ანსამბლში მიიღო.

ამის შემდეგ დაიწყო მისი უფრო მეტად დაახლოება ქსნისხეობელებთან და ანსამბლ ,,ლომისის" მიერ მოპოვებული უამრავი წარმატების მონაწილე და თანაზიარი გახდა ალიკა.

სამი წლის წინ ერეკლე საღლიანმა საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრად მიიღო, გასულ წელს კი ქსნის ხეობის ჩოხოსანთა საზოგადოებას შეუერთდა ანსამბლ ,,ლომისის" წევრებთან ერთად.

და აი, ახლა სიკვდილმა წაგვართვა მისი თავი, გლოვობს ოჯახი, სოფელი,ქსნის ხეობა... გლოვობს ანსამბლი ,,ლომისი"...

ადვილი არ არის კაცური კაცის სახელის მოპოვება... საზოგადოებაში წესიერი, პატიოსანი, უწყინარი კაცის სახელის დამკვიდრება.

ალიკამ ეს შეძლო...

მისი დაკრძალვის დღეს ყვავილებით მოიფინება გზა ოძისიდან სოფლის სასაფლაომდე... უკანასკნელ გზაზე გააცილებენ ამ კაცურ კაცს, იქნება წუხილი... ბევრი, ბევრი გულწრფელი ცრემლი...

მინდა, ქსნის ხეობელთა სახელით სამძიმარი ვუთხრა გარდაცვლილის ოჯახს, ოძელებს, ჩვენს ხეობას, ანსამბლ ,,ლომისის" ბიჭებს, რომლებმაც დაკარგეს ერთგული მეგობარი, საუკეთესო მუსიკოსი, კარგი ადამიანი...

დაე, ამქვეყნად სამარადისო ხსოვნა იყოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელის...

დაე, მის სულს უფალმა დაუმკვიდროს ნათელი სასუფეველი იქ, სადაც განისვენებენ მართალნი.

ნინო დოლიშვილი
პედაგოგი

ანსამბლ ,,ლომისის" წევრები: შალვა ილურიძე, ანზორ ზანგურაშვილი, ვალერიან გათენაშვილი, იმედა ილურიძე, ალექსანდრე ჯარმელიშვილი, გურია გათენაშვილი მწუხარებით იუწყებიან ანსამბლის წევრის

ალიკა ჯავახიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ალიკა (ალექსანდრე) ჯავახიშვილის ხსოვნას

რა სიყვარულით გვედექი გვერდში,
დღეს კი რა სიმწრით
გიხსენებთ, ძმაო!
მეხად გასკდი და ჩამოიღვარე,
ცრემლად დაგვნამე, პირქუშო ცაო!
ნათლიღების დღე, იანვრის სუსხი,
რად დაგვიტოვე
ხსოვნის დღედ, ღმერთო!
ალიკ, ძვირფასო, ლამაზი სულით
ხსოვნად დაგვრჩები
შენ ერთადერთო.
ანსამბლ „ქსანიდან“ დღეს,
„ლომისამდე“
მაგ გულმა ტკბილი ჰანგით გატარა,

ნასყიდა მიდელაშვილი

კიდევ ერთი კარგი, ამაგდარი კაცი, ქსნის ხეობის დიდი მოყვარული და ჭირისუფალი, ოთხი შვილის მამა ნასყიდა მიდელაშვილი გამოაკლდა ქსნისხეობელთა რიგებს.

ნასყიდა მიდელაშვილი გამოირჩეოდა დავალებული საქმისა და სამსახურის ერთგულებით, მოყვასის სიყვარულით. იყო უაღრესად კეთილი, სტუმართმოყვარე, მშრომელი, იუმორით სავსე. მოხუცებულობის ჟამს, როცა პენსიაზე იყო, დაეუფლა მეფუტკრეობას და ღრმა სიბერემდე თავს ევლებოდა ამ დარგს.

თავისი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში მიღებული აქვს მრავალი მადლობა და სიგელი ხელმძღვანელი ორგანოებიდან.

ოკუპაციის შემდეგაც ვერ მიატოვა მშობლიური სოფელი მიდელაანი და მეუღლესთან ერთად იქ ცხოვრობდა. იქვე აღესრულა...

შვილები ჯემალი, გივი, ციალა, ნათელა, შვილიშვილები, ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ნასყიდა მიდელაშვილის გარდაცვალების გამო. სანთელი და ნათელი არ მოაკლდება მის სულს.

შვილები

გვეგონა, ერთად შევბერდებოდით,
მაგრამ ძმობის გზა გახდა პატარა.
„ლომისის“ ბიჭებს ზურგი გვაქციე,
წყვდიადში გასჭერ, გაიმარტოვე,
მელოდიური ხმა წაიღე და
სცენაზე სული ობლად დასტოვე...
შენ ქსნის ხეობა არ დაგივიწყებს,
ხელოვნებაში სიტყვა
გაქვს თქმული,
ხვალ ისტორია დაიწერება
შენი მოსვლის და დღეს
წასვლის, ძმური...
ნათელში იყავ! გემშვიდობებით,
ძმობის იარა გულზე გვაჩნდება,
ნეშტით მიდიხარ, მაგრამ სული კი,
უკვდავ სიმღერით
ქსანზე დარჩება...

შალვა ილურიძე
ანსამბლ „ლომისის“
ხელმძღვანელი

გიორგი მილაძე

კიდევ ერთხელ დაითალხა ახალგორი ახალგაზრდა კაცის – გიორგი მილაძის გარდაცვალების გამო... 30 წელი... ძალიან ცოტა იცხოვრა ამ ქვეყნად ღიმილიანმა, კეთილმა ბიჭმა, რომელმაც სულ პატარამ გამოსცდა ობლის მძიმე ხვედრი, როცა გარდაეცვალა დედა მარინე ბასილიძე და მამა გოჩა მილაძე. ორი ძმა – ლევანი და გიორგი დეიდის, მამიდის და ბიძის მეთვალყურეობითა და ზრუნვით იზრდებოდნენ. არც გაბოროტებულან, არც ცუდი რამ ჩაუდიათ გულში, ცხოვობდნენ იმ ბედის განაჩენით, რაც ღმერთმა არგუნათ...

ლევანი დაოჯახდა... მისი შვილები ყოველთვის გაიხსენებენ ღიმილიან ძიას, რომელიც მძიმე სენთან ბრძოლაში დამარცხდა... არა და არ გამოცხვა ობლის კვერი...

ახლადმოყვანილი მეუღლის და ახალგორელების ზღვა ცრემლი გაუნათებს გზას მარადიული სამყოფელისაკენ.

გიორგი მილაძის ბიძაშვილი თამუნა თავის პოსტზე ტკივილიან სტრიქონებს აქვეყნებს:

„თქვენც ჩვენსავით პატარებმა დაკარგეთ მამა და ჩვენსავით ობლებს გეძახდნენ. მილაძეების ობლები ვიყავით. ამ პატარა რაიონისთვის და ჩვენი გვარისთვის ეს 4 მცირეწლოვანი ობოლი მილაძე მეტისმეტი იყო.

რაღაცნაირად ძალიან ახლოს და გულში იყავით მთელს ჩვენს ოჯახში.

მიხაროდით, მიყვარდით და ვამაყობდი თქვენით.

ძალიან დამწყვიტე გული, გიო. ვერც ვიაზრებ ჯერ ბოლომდე შენს ამბავს.

მართლაც რომ „წუთია წუთისოფელი“.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მწუხარებით იუწყება ანსამბლ „ლომისის“ წევრის

ალექსანდრე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მწუხარებით იუწყება

გიორგი მილაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო იუწყება

ნასყიდა მიდელაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

იკოთის საშუალო სკოლის 1986 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან თანაკლასელის

მამუკა ჯანგირაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მარიამ მაჭარაშვილი „საშობაო მინიატურების“ კონკურსის გამარჯვებულია

გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში „საშობაო მინიატურები“ საქართველოს სკოლების V-X კლასების 300-მეტი მოსწავლე მონაწილეობდა. კონკურსის ფინალურ ეტაპზე 25 მოსწავლე გადავიდა, ხოლო V-VI კლასის მოსწავლეთა შორის პირველი ადგილი დაიკავა წეროვნის მესამე საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ მარიამ მაჭარაშვილმა. მისი მინიატურა ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველებისათვისაც, რამეთუ თითოეული ჩვენგანის ნატვრაა მარიამის „შობის სიზმარში“’

მარიამ მაჭარაშვილი – „შობის სიზმარი“

„ახალგორში მარიამ ღვთისმშობლის ტაძართან ახლოს ვცხოვრობ. მეორე სართულის მისაღებ ოთახში უზარმაზარი ნაძვის ხე დგას. ზედ უამრავი სათამაშო ჰკიდია, თავზე ოქროსფერი ვარსკვლავი ადგას. ისეთი მაღალია, თითის წვერებზე რომ აიწიოს, ჭერს მისწვდება. თავი ამაყად და თავმომწონედ უჭირავს, თითქოს გვეძახის, შემომხედეთ რა მშვენიერი ვარო. ისიც კარგ გაწყობაზეა, ჩვენსავით. შობის ღამეა, ამ დროს ხომ ყველა ბედნიერია.

ოთახში დიდი ფუსფუსი და აურზაურია. დედა და ბებია სუფრას შლიან, მამა და ბაბუა ეზოში არიან ჩასულები თბილისიდან მოსული სტუმრების დასახვედრად, ჩემი ძმა ნაძვის ხესთან ზის და თოვლის ბაბუის მოტანილ სათამაშო მატარებელს აწყობს, მე ფოიერვერკებს ვამზადებ. შობის ღამეა, მალე ცა ფოიერვერკით მოირთვება ჰაერში უკვე ტრიალებს დენთის მძიმე სუნი.

შორიდან მესმის ფოიერვერკის ხმა, თითქოს თანდათან ახლოვდება, ბუნდოვნად ჩამესმის დედაჩემის ხმა: მარიამ, მარიამ! თვალებს ვახელ... გაქრნენ სტუმრებიც, ბებია და ბაბუაც, ახალგორის სახლიც, დავრჩით მე, მამა დედა და ჩემი ძმა. დედა მიღიმის, – ჩაგძინებია, ძილისგუდა, წამოდი გარეთ, ფოიერვერკის დროა. გამაღვიძა და გავიდა. მაგრად დავხუჭე თვალები, იქნებ დავბრუნდე ისევ სიზმარში. ცოტა ხანში ჩემი ძმა შემორბის: – მარიამ, თოვლის ბაბუ ყოფილა, ნახე საჩუქრები!

ავდექი, პლედი მოვიხვიე, გარეთ გავედი, ჰაერში მართლაც ფოიერვერკის სუნი ტრიალებდა, ცაც ულამაზესი იყო, ოღონდ ეს წეროვნის ცაა.

– თორმეტი საათია, – ამბობს დედა, – შობას გილოცავთ! სურვილები ჩაიფიქრეთ!

ღრმად ჩავისუნთქე, თვალები დავხუჭე, დღეს ხომ შობაა, ოცნებების ახდენის დღე და მეც ჩავიფიქრე: „ნეტავ ამიხდეს ჩემი შობის სიზმარი.“

ოსტატი წეროვნიდან, რომელიც დევნილ ბავშვებს ხეზე კვეთას ასწავლის

მე-6 გვერდიდან

ძლო ხელობის შესწავლა და ამ ხელობით ჯიბის ფულის შოვნა. მთავარ პროფესიასთან შეთავსებით მინდა გავაგრძელო ეს საქმე, არ მინდა რომ დავივიწყო და მინდა, რომ მთელი ცხოვრება გავიყოლო და გამოვიყენო ამ პროფესიაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება“, — ამბობს გურამ მღებრიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ზაზა გათენაშვილი წლებია წეროვანში ცხოვრობს და საყვარელი საქმითაა დაკავებული, აქაურობას სახლს მაინც არ უწოდებს. მისი სახლი ახალგორშია და იქ უკვე ორ წელზე მეტია არ ყოფილა. მამა და დედა ახალგორში დარჩნენ და ზაზას მათთან ურთიერთობა მხოლოდ ტელეფონით შეუძლია.

მაგრამ ზაზას ერთი ადგილი აქვს შეგულებული, სადაც მაშინ მიდის, როცა მშობლიური სახლი განსაკუთრებით ენატრება. ეს ადგილი, მის მიერვე შექმნილი სახელდახელო მუზეუმია, რომელსაც ხუმრობით „პატარა ახალგორი“ შეარქვა. მუზეუმში გამოფენილი თითქმის ყველა ნივთი იქედან აქვს ჩამოტანილი.

„ჩემი მუზეუმის შექმნის იდეა იყო ახალგორის სულის დაბრუნება აქ, რომ ყველამ, თითოეულმა ახალგორელმა, აქ მცხოვრებმა თუ სხვაგან მცხოვრებმა არ დაკარგოს თავისი ახალგორელობა, რომ მოვიდნენ, გაიხსენონ, შეხედონ, გაახსენდეთ იქაურობა. ბევრი ისეთი სიტუაციაც ხდება... მასწავლებლებს მოჰყავთ ბავშვები, რომლებსაც ბუნდოვნად ახსოვთ ახალგორი და მე ვუხსნი თითოეული ნივთი რას ნიშნავს, საიდან არის“, — ამბობს ზაზა გათენაშვილი.